სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას!

კვირა, 25 აგვისტო, 1918 წ.

# შრომა

№ 14

გაზეთის ფასი 40 კაპ.

**აბასთუმანიდან და აწყურიდან ოსმალებმა თავისი ჯარები გაიყვანეს. ბაქოსთან ბრძოლა განახლდა. საფრანგეთის ელჩი სამარაში სთხოვს თავის მთავრობას დახმარება აღმოუჩინოს რუსეთის დამფუძნებელ კრების წევრთა კომიტეტს სამარაში 100 მილ. ფრანკით.**

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома“, Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

**რედაქციის მისამართი:** *Тифлисъ Редакція газ. „Шрома“ Чавчавадзевская ул. Софійская школа.*

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„შრომა“-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4$^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

## ქ. თბილისი, 25 აგვისტო.

იმ მრავალ შინაურ ფრონტებს, რომლებითაც ასე მდიდარია ბოლშევიკური რუსეთი, მიემატა ახალი ფრონტი—„დამფუძნებელი კრების ფრონტი“.

მსოფლიო იმპერიალისტები უკვე შეუდგენ დამცირებულ და დაუძლურებულ რუსეთის დატაცებას; ისინი ყოველ მხრივ აწვებიან რუსეთის ტერიტორიას და ერთი მეორეს ეჯიბრებიან მის დატაცებაში. რუსეთის დემოკრატიის ჯანსაღი ელემენტები გრძნობენ მდგომარეობის მთელ ტრაგიზმს და უკანასკნელ ძალებს იკრებენ სამშობლოსა და რევოლიუციის დასახსნელად. მათ კარგათ იციან, რომ გარეშე ძალების შინაურ ცხოვრებაში ჩარევა—თუნდაც ეს მოკავშირენი იყვნენ—სავსეა რუსეთის დემოკრატიისათვის მავნე შედეგებით. მათ შვენივრათ ესმით რომ თავის იდეალებისათვის ბრძოლაში დემოკრატიას შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ძალებს.

ვოლგაზე მოძრაობა, რომლის მთავარი შტაბი, როგორც გაზეთები გვაცნობენ, იმყოფება სამარაში, არის აქტიური ცდა დემოკრატიის საკუთარი ძალებით და დამოუკიდებელი გამოსვლით, რამდენათ ეს შესაძლებელია დღევანდელ რუსეთში, შექმნან ისეთი ორგანოები და ძალა, რომლებიც იხსნიან რუსეთს საბოლოო დანაწილებისა და დამონავებისაგან. მხოლოდ დამფუძნებელ კრებას—მთელი ხალხის ნება სურვილების კანონიერ გამომხატველს—შეუძლია გამოიყვანოს რუსეთი იმ ქუჩაბანდიდან, რომელშიც ის მოემწყვდა ბოლშევიკების მეოხებით.

ამიტომაც ჰქვია ახალ ფრონტს „დამფუძნებელი კრების ფრონტი“. ეს ახალი ფრონტი არ არის. ეს ის ფრონტია, რომელზედაც რუსეთის მშრომელი ხალხი ათი წლობით იბრძოდა. შემთხვევით არ არის, რომ ამ ფრონტს ხელმძღვანელობენ ჩვენი ამხანაგები—სოციალისტ-რევოლიუციონერები. მხოლოდ გმირული ბრძოლით და უმაგალითო თავგანწირვით, რომელიც სჩვევია ჩვენს პარტიას, შეიძლება რუსეთის დემოკრატიის გაერთიანება, და მისი აღორძინება. ეს ერთად ერთი რევოლიუციონური და კანონიერი ფრონტია რუსეთში არსებულ სხვა ფრონტებს შორის.

და ვინც რუსეთში ჭეშმარიტი და გულწრფელი რევოლიუციონერია, ამ ფრონტზე უნდა იყოს, აქ უნდა იბრძოდეს...

## უკანასკნელი ცნობები.

**აბასთუმანის და აწყურის გაწმენდა.**

გერმანიის სამხედრო მისიის თავმჯდომარემ გენერალ ფონ-კრესსმა მიიღო ხალილ-ფაშადან დეპეშა, რომელშიაც ეს უკანასკნელი იუწყება, რომ ოსმალებს გაჰყავთ თავისი ჯარები აბასთუმანიდან და აწყურიდან.

**ბრძოლა დასავლეთ ფრონტზე.**

გერმანეთის სამხედრო მისია იუწყება, რომ დასავლეთ ფრონტზე გრძელდება ინგლის-საფრანგეთის ჯარების ძლიერი შეტევები. მისიის ცნობით ეს უძლიერესი ბრძოლაა დასავლეთ ფრონტზე ამ წლის განმავლობაში.

**ბაქოს გარშემო.**

განჯიდან იუწყებიან, რომ ნური-ფაშა ისევ წავიდა ბაქოს ფრონტზე. ოსმალოები არ ამჟღავნებენ იმას, თუ რა ხდება ბაქოს ფრონტზე. კერძო ცნობებით კი ბაქოსთან განახლდა ბრძოლა ოსმალთა ჯარების, რომელთაც ეხმარებიან ადერბეიჯანელები, და ბაქოს ჯარებს შორის. ეს ცნობები უსაფუძვლო არ არის, რადგან ყოველ დღე განჯაში მოჰყავთ მრავალი დაჭრილი ასკერი. აღსტაფით ბაქოსაკენ გაეშურა არტილერიის ორი ეშელონი. ოსმალები ეზიდებიან ბაქოსაკენ შორს მსროლელ ზარბაზნებს, რომლებიც მათ დარჩათ ყარსში.

—

ბიქტორ კალანდარიშვილმა სასოფლო კომისიაში მოხსენება გააკეთა ზუგდიდის მაზრის მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა: ზუგდიდის მაზრა ჯერ-ჯერობით ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იმყოფება; თუ იქ შეიარაღებული ძალა არ გაიგზავნა —ბოლშევიკებისაგან რაიონის გასაწმენდათ, იდეური მუშაობა შეუძლებელია. ამ ჟამად ზუგდიდის მაზრაში, როგორც სოფლად, ისე ქალაქად მუშაობა არ არის. მთელ მაზრაში საჭიროა არა ნაკლები 7—8 პროპაგანდისტისა. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ადმინისტრაციის მოწყობას. ქუთაისის ორგანიზაციას ზუგდიდთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

—

**ერევნიდან ჩამოხულთა** სიტყვით ჯულფის მხრიდან დაჭრილი ასკერები ჩამოყავთ. ოსმალებმა წინადადება მისცეს გუმრის მცხოვრებლებს თავიანთი ცოლ-შვილი გაგზავნონ ქალაქიდან, ქალაქიდან ოსმალები დიდძალ სხვადასხვა საქონელს ეზიდებიან.

## დეპეშები

**მოსკოვი**, 21 აგვ. მოსკოვის რადიო სადგურმა გადასცა რუსეთის წარმომადგენელს ბერლინში იოფფეს შემდეგი დეპეშა:

იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც უნახეს ფრანგ ტყვეებს არის საფრანგეთის კონსულის სამარაში წერილი, რომელშიაც ის ამბობს, რომ დამფუძნებელ კრების წევრთა კომიტეტს არა აქვს სახსარი, რომ საფრანგეთის კაპიტალი უნდა დაეხმაროს მას და სთხოვს საფრანგეთის მთავრობას 100 მილიონ ფრანკს და უმატებს, ეს თანხა გადაეცემა მხოლოდ არა სოციალისტურ მთავრობას. კონსული საჭიროდ სცნობს არხანგელსკიდან ვლადივოსტოკამდე ერთ მთლიან ფრონტის შექმნას და დასძენს: სამარის მთავრობას არა აქვს დისციპლინა და ჩეხო-სლოვაკების დაუხმარებლათ ის ვერას გახდება.

**ბაქოს გარშემო.**

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა პროტესტი გაუგზავნა გერმანიის გენერალურ კონსულს იმის გამო, რომ გერმანეთის მოკავშირე ოსმალეთი შეტევას აწარმოებს ბაქოს წინააღმდეგ. ეს კი ეწინააღმდეგება დადებულ ხელშეკრულებას. ივნისის პირველ რიცხვებში ოსმალეთის ჯარი იმყოფებოდა ქიურდამირში. ივლისის შუა რიცხვებში საბჭოთა ჯარებმა დაახევიეს ოსმალთა ჯარს გეოკჩაიამდე. 23 ივლისს ეპიდემიურ ავადმყოფობის გავრცელებისა და უწყლოობის გამო საბჭოთა ჯარმა უკან დაიხია ალიატამდე. 28 ივლისს ოსმალები მიუახლოვდენ ბალაჯარას. ბაქო აივსო ლტოლვილებით. მცხოვრებლები შიშმა მოიცვა. 30 ივლისს შეფქეტ-ფაშამ გაუგზავნა ბაქოს ულტიმატუმი და მოითხოვდა ქალაქის დაცვას. მან აგრეთვე წერილი გაუგზავნა მაჰმადიანებს სადაც სწერდა: „მე მოვდივარ, რომ გაგანთავისუფლოთ თქვენ ბარბაროსებისაგან“-ო. 31 ივლისს ოსმალებმა დაიკავეს სიმაღლეები შიხოვო და ბიბი-ეიბათი. 4 აგვისტოს ოსმალთა ჯარებმა უკან დაიხიეს, მაგრამ კატასტროფა აუცილებელია თუ ოსმალთა ჯარებმა თავი არ დაანებეს ბაქოს.

**ჩიჩერინი.**

## ახალი ამბავი.

**ბათუმში შესვლის ნებართვა.** რუსთა ეროვნულ საბჭოში შედის მრავალი შუამდგომლობა ბათუმში შესვლის ნებართვის მიღების შესახებ. ამის გამო რუსთა ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ ის არ იძლევა ასეთ ნებართვებს, არამედ უგზავნის შუამდგომლობის ქაღალდს და მთხოვნელის ორ ფოტოგრაფიულ სურათს ბათუმის კომენდანტს და ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული ნებართვების მიცემა.

— **ხოლერა.** უკანასკნელ დღის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში შემოვიდა 6 ხოლერიანი და 3 საეჭვო. განიკურნა ხოლერიდან ერთი, მოკვდა ერთი. 23 აგვისტოს საავათმყოფოში დარჩა 69 ხოლერით ავათმყოფი და 28 საეჭვო.

— **გიმნაზიების დანაწილება ეროვნებათა შორის.** 1 და 2 გიმნაზიები ქართული გიმნაზიებად იქმნა გადაკეთებული 3-მე—სომხურად მე-4—რუსულ-სომხურად, მე-5 გიმნაზიაში იქნება ორი განყოფილება ქართველებისათვის და არა ქართველებისათვის, მე-6 რუსულად.

— **შინაგან საქმეთა სამინისტრომ** სთხოვა ფინანსთა სამინისტროს, რომ ხოლერასთან საბრძოლველად გადადებული თანხა დაუყოვნებლივ მისცენ ხაზინიდან ხოლერის წინაღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციას.

— **დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა ა. ნ. მეზუროვი, სპეკულიაციისათვის.

— **ბაკურიანიდან გენ. მაიორი მაყაშვილი**ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ დვირში ყოველდღე მოდიან აუარებელი ლტოლვილები, რომლებსაც არა აქვთ საქართველოს მთავრობის ნებართვა. ისინი გაჭირვებას განიცდიან. თათრები უკან არ უშვებენ. გთხოვთ შეგვატყობინოთ გამოუშვათ თუ არა ისინი საქართველოს ტერიტორიაზე.

— **სასოფლო კომისიამ დაადგინა:** ეცნობოს სამეგრელოში დანიშნულ პასუხისმგებელ პროპაგანდისტს აკაკი ფიჩხაიას რომ გაანაწილოს მთელ სამეგრელოსათვის ის ძალები, რომლებიც მის განკარგულებაშია. გაიგზავნოს სამეგრელოში კიდევ ერთი პროპაგანდისტი.

— **ყალბი მოწმობა.** გორის პასუხისმგებელ წარმომადგენელმა განაცხადა სასოფლო კომისიაში, რომ სათემო საადგილმამულო კომიტეტის თავმჯდომარე ზერცალოვსა და იმავე კომიტეტში მომუშავე კუბანოვს ყალბი მოწმობა მიუციათ გიორგი ალ. ბაგრატიონ-დავითაშვილისათვის, რომ „თანახმად სათემო საადგილმამულო კომიტეტისა“ მას ნება ეძლევა მცხოვრებლებისაგან ღალა შეკრიბოს ბაგრატიონ დავითაშვილმა თავის მხრივ მისწერა გორის კომისარს შეატყობინოს ხალხს, რომ მათ ნება-ყოფილობით გადაიხადონ ღალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ძალას მიმართავს. ამის შესახებ სასოფლო კომისიამ დაადგინა: ასეთი ყალბი მოწმობის მიცემისათვის, ზერცალოვი და კუზანოვი სამსახურიდან დაითხოვონ.

— **ის. რამიშვილმა ბაქოში პირდაპირი** მავთულით დაელაპარაკა აიოლლოსა და ველუნცს, რომ ის იშუამდგომლებს გერმანიის წინაშე—უსისხლოდ გადაწყდეს ბაქოს საკითხი, თუ ასეთ შუამდგომლობას ისინი სასურველად დაინახავენ. ამაზე პრეზიდიუმის წევრმა უმანსკიმ უპასუხა, რომ ეს ძლიერ სერიოზული საკითხია და გადავეცით გადასაწყვეტათ სამხედრო დიქტატორს, ცენტრო-კასპსა და აღმასრ. კომ. პრეზიდიუმს.

— **ლტოლვილთა გამრავლების გამო** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ბორჯომში მილიცია გამრავლებულ იქმნას.

— **მინისტრის ამხანაგი** ერაძე ხელმეორედ გაემგზავრა ტყიბულში მაღაროებში მომუშავეთა და მოიჯარადრეთა შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

## ომი.

**ბერლინი**, 21 აგ. „ტრანს-ოკეანის პრესის“ სამხედრო რეპორტიორი ფრონტიდან იუწყება: მძიმე დანაკლისმა, რომელიც მტერმა ნახა, აიძულა რამდენიმე ხნით შეეჩერებია სამხედრო ოპერაციები; ამ დროის განმავლობაში მხოლოდ პატარ-პატარა შეტაკებებს ჰქონდა ადგილი. შუადღისას, 16 აგვისტოს, გენ. ფოშმა ძლიერი ბრძოლა განაახლა ჰავრის ორივე მხრით. მტრის შეტევის ცენტრი იყო რუა და სცდილობდა რითაც არ უნდა დაჯდომოდა გაერღვია ფრონტი. შეტევები მოიგერიეს ჩვენმა მოწინავე ხაზებმა. კანადელების და ფრანგების დანაკლისი, რომელთაც უმთავრესათ გადიტანეს ბრძოლის სიმძიმე, დიდია. მიუხედავათ მტრის დიდი ცდისა მთელ ფრონტზე, მიზანს ვერსად ვერ მიაღწიეს. რუას დასავლეთით წამოყვანილი ტყვეები ამბობენ, რომ მათ ნაბრძანები ქონდათ აუცილებლად გაერღვიათ მტრის ფრონტი.

## საქართველოს ეროვნული საბჭო.

(24 აგვ. სხდომა).

კრება იხსნება დღის 1 ს. და 10 წ. კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში სდგას ეროვნულ-უმცირესობათა წარმომადგენლობის საკითხი, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვა და სხვ.

დღიურ წესრიგის წაკითხვის შემდეგ საბჭოს წევრი კ. ქავთარაძე კითხულობს კომისიის აზრს ეროვნებათა უმცირესობის წარმომადგენლობის შესახებ.

**ქ. ჭავთარაძე.** ეროვნულ საბჭოს წევრნო! როგორც მოგეხსენებათ ამას წინეთ საბჭომ დაადგინა, რომ საბჭოში მოწვეულ იქნან ეროვნებათა უმცირესობების წარმომადგენლები მოსახლეობისა და რაოდენობათა მიხედვით. ეს საკითხი გადაცემული ქონდა კომისიას, რომელმაც გამოიანგარიშა საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ეროვნების მცხოვრებთა რიცხვი. მასალების მიხედვით ჩვენში ყოფილა 200 ათასი სომეხი, 80 ათასი თათარი, 40 ათასი ოსი, 60 რუსი, 30 ათასი ებრაელი, 8 ათასი გერმანელი და სხვ. ამ ეროვნებათ წარმომადგენლები უნდა ყავდეთ ეროვნულ საბჭოში. ვინ, ან რა ორგანიზაციამ უნდა წარმოგზავნოს ეს წარმომადგენლები—ამის შესახებ კომისიის აზრით უკანასკნელი უნდა აირჩიოს ეროვნულ საბჭოებმა, თუ ისინი არსებობენ, თუ არა და პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებით. ეროვნებათა უმცირესობის წარმომადგენლები ჩვენ საბჭოში იქნება სულ 28, შემდეგი პროპორციით: სომხებს ეყოლებათ 10 წარმომადგენელი, აფხაზებს 5, თათრებს 4 ოსებს 3, რუსებს 4, ებრალებს 1, ბერძნებს 1, გერმანელებს 1 და სხვ.

მოხსენების შესახებ იხსნება კამათი. სიტყვას ღებულობს ს.ფ. ფრაქციის წარმომადგენელი ა. ფალავა.

**ა. ფალავა.** სოც.-ფედ. ფრაქციას ყოვლათ შეუძლებლათ მიაჩნია მიიღოს ეს კანონ-პროექტი იმ სახით, რომლითაც აქ არის წარმოდგენილი. ამის მიზეზებიც არის. პირველი მუხლი ამ კანონ-პროექტისა ამბობს ჰყავდეს ეროვნებათა უცხო ტომებს 28 წარმომადგენელი ეროვნულ საბჭოშიო. რასაკვირველია, ჩვენ რომელნიც მუდამ ვიბრძოდით ეროვნებათა უფლებისათვის და ვცდილობდით, რომ მათი უფლებები არ შელახულიყო, სიამოვნებით ვეგებებით, რომ ეროვნებებს თავისი წარმომადგენლები ყავდეთ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს კანონ-პროექტი მივიღოთ ამ სახით.

შიგ სწერია, რომ წარმომადგენლობის უფლება მიეცეს ყველას, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე სცხოვრობსო. ეს მუხლი უსათუოდ ეწინააღმდეგება იმ ძირითად კანონს ქვეშევრდომობის შესახებ, რომელიც ამას წინეთ ეროვნულ საბჭომ მიიღო. ასეთი წარმომადგენლობის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომებს, საქართველოს მოქალაქეთ და არამც და არამც სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთ. როგორც ვიცით აქ ბევრია ისეთი, რომელთაც ჩვენი ქვეშევრდომობა არ სურთ და გვებრძვიან. და ასეთი ელემენტების საბჭოში შემოშვება ყოვლათ შეუძლებელია.

შემდეგ ეს წარმომადგენლები ეროვნულ საბჭოსთან უნდა იყვენო, ესეც იწვევს დიდ გაუგებრობას. არსებობს, მაგ., აქ რუსთა ეროვნული საბჭო. ყოვლად შეუძლებელია მან გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი იმიტომ, რომ ეს საბჭო არის ელჩი რუსეთისა და შეუძლებელია დიპლომატიურმა წარმომადგენელმა თავისი წარმომადგენელი იყოლიოს ჩვენს საბჭოში. დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქენი და პრაქტიკულათაც უნდა მოხდეს ამ ხალხის რეგისტრაცია რაიმე სახით. ვისაც სურს ჩვენთან ყოფნა—ვილებთ, ეხლა ჩვენ ყოველი მხრიდან გვებრძვიან და გვებრძვიან შეგნებული ელემენტები და ხშირად სოციალისტებიც. მაგ. გაზ. „ტრუდოვოე ზნამია“, რომლის უახლოესი თანამშრომელი მ. ლებედევი არის—ყოველ დღე სწერს მთავრობის საწინააღმდეგო წერილებს. და ეს ლებედევი იმავე დროს ჩვენში მთავრობის მოხელე არის. ეს ყოვლად შეუწყნარებელია. ამას შეიძლება დაუმატოთ, რომ სომხების რომელიღაც ორგანოს დაუდგენია საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე სომხები სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეთ გამოაცხადონ.

შემდეგ პროპორციის შესახებ. ჩვენის ფიქრით, წარმომადგენელთა რიცხვი სხვანაირი პროპორციით უნდა იყვეს შედგენილი. ერთი მხრით კომისიას კარგათ შეუდგენია საერთო ჯამი—საქართველოში 75 პროც. ქართველებია და დანარჩენი 25 პროც. სხვა ეროვნებათათვის მეუციათ, მაგრამ მათ შორის წარმომადგენლობა ვერ არის სწორათ განაწილებული. ჩვენ უნდა დავადგეთ პრინციპიალურ მოსაზრებას და ეს პრინციპი კი იმას გვიკარნახებს, რომ მათი წარმომადგენლებიც იმ სახით იყვეს არჩეული, როგორითაც ჩვენავართ. დაახლოებით თვითეულ საბჭოს წევრი 20 ათასი კაცისგან არის ამორჩეული. ასეთი წესი უნდა მივიღოთ სხვებისთვისაც. აუცილებელია ისინი საქართველოს მოქალაქენი რომ იყვენ. ამისათვის ჩვენი ფრაქცია წინადადებას იძლევა უკანვე დაუბრუნდეს კომისიას ეს კანონ-პროექტი. მან ის განიხილოს და ორი კვირის განმავლობაში ხელახლა წარმოადგინოს.

**ალ. ლომთათიძე.** უეჭველია, რომ წარმომადგენლების აქ გამოგზავნის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. არა ქვეშევრდომს ასეთი უფლება ვერ მიეცემა და ეს არის სწორეთ ის მთავარი მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს შემოტანილ წინადადებას. მაგრამ ეს პროექტი უნდა გადაეცეს მხოლოდ სამანდატო კომისიას და ვადაც შემცირდეს.

გადის წინადადება—გადაეცეს სამანდატო კომისიას, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს გადამუშავებული კანონ-პროექტი.

საბჭო გადადის შემდეგ საკითხზე. ეს არის ეროვნულ დემოკრატიულ—ფრაქციის შეკითხვა ბორჯომის წყლის ექსპლოატაციის შესახებ.

სიტყვა ეძლევა ერ. დემ. გრ. ვეშაპელს.

**გ. ვეშაპელი.** (ე. დ.) ბატონებო! ჩვენი ფრაქციის შეკითხვა იყო შემდეგი შინაარსის: მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ გაცემულა იჯარით, ანდა გაყიდულა სახელმწიფო ქონება—ტყე, წყლები და მრავალი სხვა რამე. ის პირობები, რომლის ძალითაც მომხდარა ეს გაყიდვა, ან იჯარით გაცემა ეწინააღმდეგება, როგორც სახელმწიფო ინტერესებს, ისე სახელმწიფო კანონებს. მომხრე არის ეროვნული საბჭო, თუ არა, რომ ეს პირობები, რომელნიც არღვევენ სახელმწიფო ინტერესებს გადახედულ იქნეს სპეციალურ კომისიის მიერ, ანდა თვით საბჭომ აიღოს ინიციატივა ამ საქმეებში და უზრუნველ ჰყოს სახელმწიფო ქონებათა წესიერი ექსპლოატაცია. ასეთი არა კანონიერი პირობების დადების შესახებ მე მაქვს ზოგიერთი ფაქტები.

მაგალითად, ბორჯომის წყლის ექსპორტი და ბორჯომის მამულების ექსპლოატაციის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, ყოფილ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დროს, 7 მარტს სეიმმა გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ბორჯომის მამულებს კონფისკაცია უყვეს და სახელმწიფო ქონებათ გამოაცხადეს. მე აქ არას ვიტყვი იმის შესახებ თუ რას ნიშნავს კერძო პირების ქონების წართმევა უსასყიდლოთ—ამაზე სხვადასხვა პირები სხვადასხვა აზრისანი არიან, მაგრამ მოგახსენებთ, რომ ბორჯომის მამული დიდი მამული იყო. აი რას წარმოადგენს ბორჯომის მამული (კითხულობს გაზ. „ერთობაში“ მოთავსებულ კორესპონდენციას, სადაც აღნიშნულია მამულების რაოდენობა და სიმდიდრეთა აღნუსხვა).

როგორც ხედავთ ბატონებო, ბორჯომში დიდძალი და ბევრ-გვარი ქონება ყოფილა, კერძოთ რაიცა შეეხება წყლებს აქ მთავრობა საქმეს ადრიანათ შეუდგა და ამ წყლის ექსპორტისათვის და საქმის მოსაგვარებლათ კაცებიც კი იყო ერთ დროს დანიშნული. შემდეგ, ეს მოხდა ოთხ აპრილს, მაშინდელ ოფიციოზ გაზ. „კავკაზში“ დაიბეჭდა განცხადება, რომ ამა და ამ დარბაზში დანიშნულია ბორჯომის წყალზე სავაჭრო შეჯიბრება (ტორგი) (კითხულობს განცხადებას) ქვეშ ამ განცხადებას აწერია „1—1“. ეს ნიშნავს, რომ მეორეთ განცხადება არ ყოფილა მიცემული, მაშინ არავინ არ გამოცხადდა და წყლების ექსპორტი ბოლოს გადაეცა ერთ ჯგუფს. ამ საქმის შესახებ გაზ. „კავკაზსკოე „სლოვოში“ არის მოთავსებული წერილი ბორჯომიდან, სადაც სწერია, რომ ბორჯომის წყლის ექსპორტი გადაცემული ქონდა ერთ-ერთ კონტრაგენტთაგანს ძველი მთავრობის მიერ. მისი უფლება ამ წყლებით სარგებლობის გრძელდებოდა 1926 წლამდე. ალბათ რადგან მოხდა მამულის კონფისკაცია ეს უფლება მას წაართვეს. „ტორგი“ არ შესდგა. გადაეცა ეს წყლები რამდენიმე პირს. მე მათ არ დავასახელებ. ბორჯომში დაიწყო მუშაობა. მე მაქვს ხელთ საბუთები, რომლის შემწეობითაც შემიძლია დაგანახოთ, რომ ჯერ გატანილი უნდა ყოფილიყო ბორჯომიდან 1 მილ. და 20 ათასი ბოთლი წყალი. დამატებით ჯგუფს უფლება ეძლევა კიდევ გაიტანოს 3 მილ. ამ საქმეს ეხება აგრეთვე ერთერთი, ანუ ერთათ ერთი მოიჯარადრის დეპეშა, რომელიც მე აქა მაქვს (კითხულობს დეპეშას ბორჯომიდან, რომ მოიჯარადრენი თანახმა არიან თუ მთავრობა მოისურვებს შესცვალონ პირობის ზოგიერთი მუხლები.) ეს არის თაქტიური ცნობები. კომენტარიები კი ამ საქმეზე შეიძლება ასეთი იყოს. რამდენათ შეეფერება მამულების უფულოთ კონფისკაცია კანონებს—მაზე არას ვიტყვი, თქვენი პოლიტიკა მოითხოვს, რომ კერძო წარმოება გადავიდეს სახელმწიფოს ხელში, მაშასადამე სახელმწიფომ უნდა სცადოს საკუთარი წარმოების დაყენება. ყოველ შემთხვევაში რაკი ნაციონალიზაციის შემდეგ საქმე იხევ უკან ბრუნდება და საზოგადო ქონება კერძო პირებზე იცემა არ უნდა ხდებოდეს, რომ ასე იოლათ გადაეცეს მამული იქნეაა ის თუ სხვა რამ ახალ პატრონებს.

დაინიშნა შეჯიბრება. არავინ გამოცხადდა. მეორეთ ეს შეჯიბრება არ დანიშნეს. ესეც რომ [illegible] ერთი უწყება, ან ერთი მინისტრი [illegible] ასეთ საპასუხისმგებლო მრავალ მილიონიან საქმეს. აქ საჭიროა მთავრობის კოლეგიის აზრი. საჭიროა აგრეთვე აზრი საკანონმდებლო ორგანოსი. ეს არც ერთი არ ხდება და ასე უცბათ ქმნიან მონაპოლიას.

გარდა წყლებისა ბორჯომში იყო ბევრი სხვა რამე. (კითხულობს მიწების რაოდენობას და სხვ.) „ერთობის“ კორესპონდენტი ამის შესახებ თავის დროზე სწერდა, რომ „ძველ ნიკოლოზის მთავრობას ერთი კარგი ჩვეულება ქონდა—ის, რომ მიწებს კონცენტრაციას უშვებოდა და კარგათაც ამუშავებდაო“. ხდება დღეს რაიმე ასეთი ბორჯომის მამულში თუ არა, ჩვენ არ ვიცით. არაფერი ისმის სამიწათმოქმედო სამინისტროში, არც პრესაშია ამის შესახებ რაიმე. ყოველ შემთხვევაში ლაპარაკი უნდა იყვეს არა ლიკვიდაციაზე, არამედ წესიერ ექსპლოატაციაზე.

უნდა მოგახსენოთ ერთ გარემოებაზედაც. ეს არის პრობკის „საკითხი. ბორჯომში იყო დიდ ძალი პრობკა. (1 მილ.) ეს პრობკაც „უტორგოთ“, გაყიდულა ხაზინისა და სახელმწიფოებრივ ინტერესების წინააღმდეგ. თუ მინისტრი რაიმე საბუთს წარმადგენს—ჩვენ ამ საქმეს ისეთ ყურადღებას არ მივაქცევთ.

ასეა გაცემული აგრეთვე ტყეები. ბორჯომის მამულის ტყეების საუკეთესო ნაწილი გადაცემულია საზოგ. „ოქროს ვერძზე“. სხვას იქ წარმოების ფულება არა აქვს. აი ის პირობა რომელიც დადებულია ამ საზოგადოების და მინისტრ ხომერიკს შორის (კითხულობ).

რათ ყიდდა ყველას სამიწათმოქმედო სამინისტრო. ყოფილი სეიმის არსებობის დროს ამ სამინისტროს ავანსათ გადაეცა 1,230 ათასი მანეთი მიწის რეფორმის გასატარებლათ. მიწის კანონი არ გატარებულა დაღესტანში, სომხეთში და ადერბეიჯანში, დარჩა მხოლოთ თბილისის და ქუთაისის გუბერნია. ამიტომ სახელმწიფო ქონების გაყიდვას ასე სასწრაფოთ ფულის საჭიროება არ მოითხოვდა.

აქაც მონოპოლიასთან გვაქვს საქმე, ბატონებო. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ბევრი სახელმწიფო მოხელეც ჩარეულია რაღაც საეჭვო სპეკულიაციაში, არსებობს მექრთამეობა და მრავალი სხვა რამ და ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოსო.

# ისინი ჩვენთან არიან.

გაზეთებმა გამოაქვეყნეს ოსების უკანასკნელი ყრილობის ანგარიშები. ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია და მასზე გამართულ კამათის შინაარსი და ხასიათი ჩვენ საშუალებას გვაძლევს დაუბრუნდეთ ოსების მოძრაობას და გაკვრით შევეხოთ იმ ბრალდებათ, რომლებიც ოსების წინააღმდეგ წამოაყენეს ეროვნულ დემოკრატებმა საჩხერის ამბების შესახებ შეკითხვის დროს. მოქალაქე ვეშაპელის სიტყვაში, რომელიც ასაბუთებდა შეკითხვას, ორი უმთავრესი აზრი იყო გატარებული, ერთის მხრით ის ხცდილობდა დაემტკიცებია, რომ საჩხერის რაიონში მომხთარი მოძრაობა ეროვნულ საფუძველზე წარმოიშვა, **რომ აქ ოსები როგორც ერი, იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ**. მეორეს მხრით ის უკიჟინებდა მთავრობას უმოქმედობას და მოითხოვდა ოსების წინააღმდეგ ენერგიულ ზომებს. ეროვნულ საბჭოს სოციალისტურმა ფრაქციებმა ერთსულოვანი იერიში მიიტანეს ეროვნულ დემოკრატების წინააღმდეგ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ის მოსაზრებები, რომლებიც ეროვნულ დემოკრატებმა წამოაყენეს, მეტად ხელოვნური და დაუსაბუთებელი იყვნენ.

საკმარისია ჩვენს მეხსიერებაში თუნდაც ოდნავათ აღვადგინოთ ეროვნულ დემოკრატების საბუთები, რომ ამაში დავრწმუნდეთ. მოქალაქე ვეშაპელმა თავის სიტყვაში იხმარა ერთი ფრაზა, რომელიც სრულს კაპიტულიაციას უდრიდა და რომელსაც, არ ვიცი რატომ, ორატორებმა ყურადღება არ მიაქციეს. შემკითხველმა ბრძანა: მე არ ვამბობ, რომ მოძრაობაში ოსების მეტს არავის მონაწილეობა არ მიუღია, მე ვამბობ: აჯანყებაში ბრალი **უმთავრესად** ოსებს ედებაო. როგორც მოგახსენეთ ეს სრული კაპიტულიაციაა, იმ იერიშების წინაშე, რომლებიც შეკითხვის წინააღმდეგ მიიტანეს სოციალისტ ორატორებმა. მართლაც, თუ ოსებით დასახლებულ სოფლებში მოძრაობაა, უეჭველია მასში უმთავრესად ოსები მიიღებენ მონაწილეობას, მაგრამ განა ეს ნიშნავს იმას, რომ მთელი ოსობა დაირაზმა მთელი ქართველობის წინააღმდეგ იარაღით ხელში საბრძოლველად?!—

ცხადია არა!.

ბოლშევიკურ მოძრაობაში, რომელსაც ქონდა და ახლაც აქვს სამეგრელოში ალაგი **უმთავრესად** მონაწილეობას იღებენ მეგრელები, ამ მოძრაობაში „უმთავრესად ბრალი ედება“ მეგრელებს, მაგრამ ჯერ არავის აზრათ არ მოსვლია ეთქვა, რომ მეგრელები საქართველოს წინააღმდეგ იბრძვიან, ბოლშევიკური მოძრაობა ჩვენში—ეს ყველასათვის ცხადია მიმართულია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და თუ ეროვნულ დემოკრატებს სურდათ დაემტკიცებიათ, რომ ოსები საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძვიან, მიკვირს რათ დასჭირდათ მათ ბოლშევიკების გამოქომაგება და იმ ყველასათვის ცაადი ჭეშმარიტების უარისყოფა, რომ ოსების მოძრაობაში ბოლშევიკებმა მეტად თვალსაჩინო როლი ითამაშეს?!

თუ ეროვნული დემოკრატები მართალი არიან, თუ მართლაც ოსი ნაციონალისტებმა აიყოლიეს მთელი ოსობა, მაშინ ოსების ბრძოლასაც სხვა ელფერი უნდა ჰქონდეს, მაშინ ოსი მუშა უნდა ებრძოდეს ქართველ მუშას, ოსი მემამულე ქართველ მემამულეს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს ასე არ ყოფილა, პირიქით ოს გლეხებს აქვთ მჭიდრო კავშირი ქართველ გლეხებთან, ხოლო ოს მემამულეებს ქართველ მემამულეებთან!..

ბრალდება, რომელიც ოსების წინააღმდეგ ეროვნულ დემოკრატებმა წამოაყენეს, არამც თუ არ ყოფილა **ფაქტიურად** დასაბუთებული ის მოკლებული იყო **სწორ ლოღიკურ საფუძველსაც!**

ეროვნულ დემოკრატებს უნდა დაემტკიცებიათ, რომ ბოლშევიკური მოძრაობაც რომ არ ყოფილიყო, ოსები მაინც გაილაშქრებდენ ქართველების წინააღმდეგ. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ოს ნაციონალისტებმა ოსობა აიყოლიეს და ქართველების წინააღმდეგ გამოიყვანეს.

სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეროვნულ დემოკრატებს უნდა დაესაბუთებიათ, რომ ოსების მოძრაობა **არსებითად განსხვავდება** იმ მოძრაობებისაგან, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში, მაგრამ ეროვნული დემოკრატები არც კი ცთილან ამ მხრით საკითხს მისდგომოდენ!

მართლაც განსხვავდება თუ არა **არსებითად** ოსების მოძრაობა სხვა კუთხეების ექცესებისაგან?!

ჩვენ კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ, რომ მოძრაობა, რომელიც ოსურს სოფლებს მოედვა არსებითად, პრინციპიალურად არ განსხვავდება სხვა მაზრების ანალოგიურ მოძრაობებისაგან. ოსების მოძრაობა არც თავისი მისწრაფებით და არც მასში მონაწილე ძალების მიხედვით არ სდგას განმარტოებით. ოსურ სოფლებში ისეთივე ხასიათის მოძრაობა იყო როგორც ლეჩხუმში, სამეგრელოში და სოხუმის ოლქში და ის, ვინც ამბობს, რომ საჩხერის რაიონის მოძრაობა რაღაც განსაკუთრებული და თავისებური იყო, უეჭველია არ იცნობს ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხის მოძრაობის და ექსცესების ხასიათს. **ოსების მოძრაობაში არაფერი ყოფილა ისეთი რამ სპეციფიური, რაც არ სჩვევია დემოგოგიურ პრაკტიკულ ბოლშევიზმს!**

ჩვენ ვიცით, რომ ოსებში დიდ აგიტაციას ეწეოდნენ ბოლშევიკები. იქ სოფლიდან სოფელში დადიოდნენ ცნობილი ქართველი ბოლშევიკები და ასე ხელმძღვანელობდენ მოძრაობას.

ოსებს კავშირი ჰქონდათ ლეჩხუმსა და სამეგრელოსთან: წალენჯიხის და ჰოლის (ჩრდილო სამეგრელოს სოფლებია) გლეხებს რომ ჰკითხოთ., ვინ არის თქვენი მეთაური, ისინი გიპასუხებენ: ჩვენი უფროსი მახარაძეაო. მართალი უნდა მოგახსენოთ მე ძლიერ გამიკვირდა, როდესაც ეს პირველად გავიგონე, ვფიქრობდი სად წალენჯიხის გლეხები და სად მახარაძე?! მაგრამ, როდესაც გაზეთებში წავიკითხე, რომ ფ. მახარაძე დღე და ღამე носится въ Осетинскихъ ущельяхъ, როგორც გაზეთები აცხადებენ, მაშინ ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ საჩხერე—ლეჩხუმი—სამეგრელო ერთი ფრონტია ერთი და იგივე პოლიტიკური ლოზუნგებით და ერთი და იგივე სოციალური შინაარსით!

ოსები როგორც მეგრელები, ლეჩხუმლები, ებრძოდენ საქართველოს მთავრობას არა იმიტომ, რომ ისინი საერთოდ ქართველების წინააღმდეგ იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მათ უთხრეს, რომ საქართველოს მთავრობა თავად აზნაურების—მემამულების მთავრობააო!...

თუ ოსები ებრძოდენ საქართველოს დამოუკიდებლობას—არა იმიტომ, რომ ქართველები სძულდათ, არამედ იმიტომ, რომ მათ უთხრეს: საქართველო რუსეთს ჩამოშორდა. ამიტომ საქართველოში ბატონობენ მემამულეები და ბურჟუაზია, რომლებიც გლეხებს მიწას არ აძლევენ და ხალხი დაამშიეს. თუ რუსეთთან იქნებით მიწაც გექნებათ, პურიც და ფეოდალებისაგანაც თავისუფალი იქნებითო. არსებითად აქ არ ყოფილა ოსობის წასისიანება ქართველების წინააღმდეგ, არამედ აქ იყო ბოლშევიკების ჩვეულებრივი დემოგოგიური აგიტაცია!...

დუშეთის მაზრაში გლეხები აშკარად გამოსთქვამდენ იმერლების წინააღმდეგ თავის უკმაყოფილებას: ყველაფერი ხელში იმერლებმა ჩაიგდეს, არ გვინდა მათი ბატონობაო. ეს იყო ერთგვარი პროვაკაციის შედეგი. განა შეიძლება ასეთი ფაქტების ძალით ვსთქვათ, რომ დუშეთის მოძრაობა იყო ეროვნული მოძრაობა, მიმართული ქართველების წინააღმდეგ?! აშკარაა, არა!. ჩვენ არ უუარყოფთ, რომ ოსების მოძრაობაში თავისი წვლილი ნაციონალისტებმა და პროვოკატორებმაც შეიტანეს, ეს ითქმის არა მარტო ოსების შესახებ, არამედ სხვა ადგილების შესახებაც. ვინც კარგათ იცნობს ბოლშევიკურ მოძრაობის შინაარსა და ხასიათს, იმან იცის, რომ ცხოვრებაში ხშირად ხდებოდა ბოლშევიკების აშკარა პროვოკატორების და შოვინისტების საოცარი ალიანსი.

ეს ადვილი გასაგებიც არის, ვინაიდან ბოლშევიკური მოძრაობა იმდენათ ანტი-დემოკრატიულია თავისი პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებით და იმდენათ ჭრელია მისი შემადგენელი ძალები, რომ აშკარა პროვოკატორი და შოვინისტი მასში არხეინად გრძნობს თავის თავს. ბოლშევიკური აზროვნება სოციალური ცხოვრების პედაპირზე დაფარფატებს. ის არ ცნობს სოციალურ მოვლენათა სირთულეს და თავისი „გამარტივებული სოციოლოგიის“ თვალსაზრისით სჭრის სხვადასხვა პრობლემებს.

ასეთი სულისკვეთება ახალ საზრდოს ჰპოებს ფართო მასის ფსიქოლოგიაში, რომელიც ვერ ითვისებს მძაფრ ცნებებს და ნაკლებათ ერკვევა რთულ მოვლენებში. ბოლშევიკი სწრაფად ეგუება ამ წრეს. **პროვოკაცია,—როგორც ბრძოლის იარაღი—აი ამ შეგუების** და გამარტივების ლოღიკური შედეგი!..

ამიტომაც არის, რომ ბოლშევიკურ მოძრაობას ხშირად თან სდევს საშინელი პროვოკაცია პოლიტიკურ, ეროვნულსა თუ სხვა ნიადაგზე!

ამის მაგალითები ჩვენ საკმაოთ გვაქვს, მაგრამ, რომ ყველასათვის ცხადი შეიქნეს, რომ ბოლშევიკურ მოძრაობას სჩვევია შოვინისტური მოტივებითაც ისარგებლოს, მე შევჩერდები სოხუმის ოლქში ბოლშევიკების მოძრაობის ზოგიერთ დეტალებზე.

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ბოლშევიკებმა სოხუმი ძლიერ სწრაფად და შედარებით ადვილათ დაიპყრეს.

ეს არ აიხსნება არც სოხუმის ოლქის ადმინისტრაციის სისუსტით; და არც

სიტყვა ეძლევა მიწათ მოქმედების მინისტრის ამხანაგს პეტრე გელეიშვილს.

პეტრე გელეიშვილი, დღევანდელი შეკითხვა არც ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე ბევრს რომ გონია, ჩვენ დიდი ხანია ვსარგებლობთ ასეთი შეკითხვებით, და ვიცით თუ რა არის იგი. თვითმპყრობელობის დროს ეს შეკითხვები იყო ჩვენს ხელში ის იარაღი, რომლითაც ვცემდით ძველ მთავრობას და ბოლოს დავამხვეთ კიდეც, მაგრამ ამ შეკითხვას აქვს ერთგვარი მნიშვნელობაც. ხალხის მტრები ეძიებენ ყოველ ჩვენს შეცდომას, ცდილობენ, თუ სადმე წაჰბორძიკდით, წიხლი გვკრან და დაგვცენ. პროლეტარული და მუშური მთავრობა და რესპუბლიკა რომელიც ფეხზე დგება არ მოსწონს ჩვენს მტრებს, და უნდათ დაამხონ. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მათი.

ჩვენ ყოველთვის მზათა ვართ გამოვიდეთ ხალხის წინაშე და ვთქვათ თუ რა გავაკეთეთ, რა ვქენით და რანი ვართ ჩვენ. და გზა და გზა ნიღაბი ავხადოთ აგრეთვე ზოგიერთ პირებს, რომელნიც თითქოს ხალხის დამცველობისა და მისი მოჭირისუფლეობის როლში გამოდიან. ეს შეკითხვა ჩვენ ამის საშუალებას გვაძლევს და ამას ჩვენ ვიზამთ.

მოქალაქენო!. მე დავიწყებ ფაქტებიდან. რა ვქენით, რაშია საქმე, ან რა დაგვიშავებია?

17 მაისს სამიწათმოქმედო მინისტრმა ხელი მოაწერა აქტს, რომლის ძალითაც ვაჭართა ერთ ჯგუფს უფლება ეძლეოდა ბორჯომის წყლის ექსპორტისა. ამ საქმეზე საჯარო ვაჭრობა დავნიშნეთ. ყველას შევატყობინეთ. დაინტერესებულ ჯგუფებს და პირებს კაცებიც კი გაუგზავნეთ, რომ მობრძანებულიყვნენ, ასე რომ ,,ტორგების'' ამბავი ყველამ იცოდა,—კარგათ იცოდენ ეს ვეშაპელის პარტიულმა ამხანაგებმაც—დაინტერესებულმა კაპიტალისტებმაც. მაგრამ რა მოხდა იცით? როცა ბორჯომის წყლის ამბავი გაიგეს ზოგიერთებმა აი ამ პარტიის წევრებმა (უთითებს ერ. დემ. ფრაქციაზე) მათ სახელებს ეხლავე მოგახსენებთ—მათ მითხრეს—თუ ,,უტორგოთ'' მოგვცემ 4 აბაზათ ბოთლს ავიღებთ, თუ არა და ხეირი არ არისო. შეჯიბრება დაინიშნა 7—ს. რომ ამ პირებისთვის მიგვეცა წყალი, მე დარწმუნებული ვარ, ბატონი ვეშაპელი ამ შეკითხვას აქ არ შემოიტანდა მაგრამ ამას ვერ ვიქმოდით სწორეთ იმ სახელმწიფო ინტერესების და უფლების მიხედვით, რომელზედაც აქ ბატონი ვეშაპელი გაჰყვირის, რადგან მხოლოთ ბორჯომის ბოთლი ცალიერი ღირს 4 აბაზათ და წყლიანს როგორ გავყიდდით ამ ფასში!

მეორეთ ,,ტორგები'' არ დაინიშნებოდა. ხალხმა ეს იცოდა, რატომ არ ინიშნებოდა მეორეთ, რაიყო ამის მიზეზი ამაზე ეხლავე მოგახსენებთ. მაგრამ კანონსაც რომ მივხედოთ, ფორმალურათ—აქაც მართალი ვართ, და ასეც უნდა მოვქცეულიყავით. და ვერსად ვერ ნახავს ვეშაპელი ისეთ კანონს, რომლის ძალითაც ეს ,,ტორგი'' უკანონოთ იქნას აღიარებული. განცხადებაში აშკარათ იყო ნათქვამი—,,торги будутъ безъ переторжки-ო.“ თუ არსებობს სადმე სხვა კანონი—მობრძანდენ და გვიჩვენონ.

ეხლა შევეხო ვეშაპელის შეკითხვას არსებითათ. რათ ვიჩქარეთ ამ წყლის გაცემა? რამ გვაიძულა? უნდა გახსოვდეთ, რომ ღვინო რაც დიდი ხნისაა უკეთესია, მარამ ეს ბორჯომის წყალზე არ ითქმის. რაც ხანი გადის, ის ფუჭდება და უვარგისდება.

მეორე ის არის, რომ ეს ამბავი მოხდა იმ დროს, როცა ოსმალთა ურდოები ყოველი მხრიდან გვჯიჯგნიდენ, მათი ერთი ნაწილი ქუთაისს ემუქრებოდა, მეორე თბილისზე მოდიოდა, ზეკარზე ბრძოლა იყო და ყველა ამის გამო შექმნილი იყო, ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა სცდილობდა რაიმე გადაერჩინა, შეენახა და ხელში არ ჩაეგდო ოსმალთა ჯარებისათვის. ჩვენ ვქენით ის, რასაც იზამდა ყოველი მოქალაქე, ვქენით ის რაც უნდა გვექნა. მტერი მაშინ ბორჯომს ემუქრებოდა. ბორჯომის მამული რესპუბლიკის კუთვნილება იყო. თუ მტერი მას აიღებდა სახელმწიფო ქონება მის ხელში გადავიდოდა. კერძო პირების ქონებას კი ვერ შეეხებოდა.

რა უნდა გვექნა, იმ დროს, როცა მშველელი კაცი არ იყო, როცა ვაგონებში ჩავაწყვეთ სახალხო სიმდიდრე და არ ვიცოდით საით გაგვეგზავნა, სად დაგვემალა—ჩვენ ხელს არავინ არ გვიწვდიდა მაშინ. და ეს წყლები გადავეცით ვინც შეგვხდა იმას, ჩვენ არ ვმალავთ არაფერს. არ ვართ ჩვეული, რომ ზოგიერთებსავით მივაფუჩეჩოთ ჩვენი მუშაობა. დეე, ყველამ იცოდეს რა მოხდა.

მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. აწიოკებისგან დროებით მაინც უზრუნველყოფილი შევიქენით, და ჩვენც შევუდექით პირობების გადასინჯვას. ის კაპიტალისტები, რომელთა წარმომადგენელიც ბატონი ვეშაპელი ბრძანდება, საყვედურებენ და რაღაცეებს ლაპარაკობენ. ჩვენ რა გვინდოდა? თუ ვინმე უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებდა, ჩვენ შევსცვლიდით პირობას. და აი მე ერთ პირის თანხლებით და თანდასწრებით მივედი იმ ბანკში, რომელსაც ბატონი ი. ლორთქიფანიძე (ე. დ.) განაგებს. ამ პირს ბ. ლორთქიფანიძე კარგათ იცნობს და მე მას არ დავასახელებ. ვსთხოვე დახმარება, ვსთხოვე აელო წყლების ექსპლოატაცია. იქ იყო ა. ქავთარაძე. მათ უთხარი: მე მინისტრისგან მაქვს მიცემული საერთო დირექტივი, თუ უფრო ხელსაყრელი პირობები იქნა არსებულ ხელშეკრულებას კონტრაგენტთან მოვსპობ. მათ მითხრეს: ვაჭრობასაც თავისი ეთიკა აქვს და ერთჯერ თუ გაეცით მერე როგორ წაართმევთო. შეიძლება ეს მართლა არ იყო ეთიკური, მაგრამ იმ კანონიერებისა და სახელმწიფოებრიობისთვის, რომელზედაც აქ ზოგიერთები გაიძახიან, ჩვენ ეს შეგნებულათ ვქენით, და ეს იცოდენ ძველმა მოიჯარადრეებმაც.

ქავთარაძემ მითხრა: ამ სამ დღეში საქმეს გავაკეთებ, მოვაწყობ ყველაფერს, ხოშტარიასთან მივალ. უცადე სამი დღე, უცდი დღევანდელ დღემდე და პასუხს ვერ ვღირსეთ, დღეს კი შეკითხვები შემოდის...

უნდა მოგახსენოთ, რომ ბორჯომის მამულს ვალებიც ქონდა. აი, იმ ფულებიდან, რომელზედაც წელან ბ. ვეშაპელმა მიუთითა, 880 ათასი მანეთი ბორჯომის მამულზეა დახარჯული. ასეთია საქმის ვითარება. და როცა აქ უკანონობაზე ლაპარაკს იწყებთ, ჩვენ გვგონია, რომ ის პარტია, რომელსაც ცოტა კაპიტალი შეუძენია—ლამობს ჩვენი მუშაობის ხელის შეშლას, სურს ასეთ დაუსაბუთებელ ბრალდებებზე ააგოს თავისი მომავალი.

რაიცა შეეხება ,,პრობკას'' ამაზე ბევრს არ ვიტყვი. განვაცხადებ, რომ ერთი ინჟინერი, რომელიც ჩვენი წარმომადგენელი იყო, და იქ მუშაობდა ის იმავე დროს აგენტი იყო ვაჭართა საზოგადოების და ყველაფერს მათ ატყობინებდა და ასეთ კაცს ჩვენ 880 მანეთს ჯამაგირს ვაძლევდით. ამ კაცს ერ.-დემ.—ბი კარგათ იცნობდნენ. ბორჯომში ყოფნის დროს მე მინდოდა მისი დაჭერა. ჩვენთან მოდიოდენ მყიდველები, გვაძლევდენ 100 ცალში 200 მანეთს. ერთ ასეთ მყიდველს ამ ინჟინერმა უთხრა—რათ იღუპავთ თავს, რაჟდენ დათეშიძე 17 თუმნათ ყიდის და შენ ორას მანეთს რათ აძლევთ. გამოირკვა, რომ დათეშიძეს არავითარი პრობკა არ ქონია. აი ასე უწყობდნენ ხელს ჩვენს მუშაობას ამ პარტიის წევრები და ასე ესმით მათ სახელმწიფო ინტერესები და კანონიერება.

შემდეგ ორატორი გადადის ხე-ტყის ექსპლოტაციის საკითხზე.

— იმ დროს როცა ,,ვერშოკი'' ხე—განაგრძობს ორატორი—ღირს სამი მანეთი, ბატონი ა. ქავთარაძე, რომელსაც ერ.-დემ პარტია ძალიან კარგათ იცნობს, ბორჯომიდან ასეთ დეპეშას იძლევა:

— გაძლევთ პირველ ხარისხსაში 1 მან. 50 კაპ. დანარჩენ ხარისხებისას მივიღებთ დიდი დაკლებით. ხელს აწერს თქვენი ნაცნობი ქავთარაძე და ვიღაც არუთინოვი.

ორატორის აზრით არც შეშა, არც ტყე და არც სხვა რაიმე საქონელი არ არის მონოპოლიის წესით გაცემული. ამის დამამტკიცებელია ის პირობები და ხელშეკრულებანი, რომელნიც ვეშაპელს ხელში უჭირავს, მაგრამ დაწერილს გაგება უნდა.

სიტყვა ეძლევა მიწათ-მოქმედების მინისტრს მ. ხომერიკს.

(გაგრძელება იქნება)

ამით თითქოს ბოლშევიკურ იდეებს ღრმად ჰქონდა აფხაზეთში ფესვები გადგმული. ეს აიხსნება მხოლოდ იმ ხრიკებით, რომლებსაც მიმართეს ბოლშევიკებმა, რომ მოეხდინათ ძალების მობილიზაცია სოხუმის დასაპყრობათ, ისინი ასეთ აგიტაციას ეწეოდენ. მოიჯარადრე მეგრელებს უთხრეს: თუ არ შეიარაღდებით და ჩვენთან არ წამოხვალთ, აფხაზები მიწებს წაგართმევენო. აფხაზებს უთხრეს: სოხუმი ყოველთვის თქვენი იყო, ახლაც თქვენ ხელში უნდა იყოს. წამოდით და თქვენი ქალაქი დაიბრუნეთო. სომხებს (იგულისხმება ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხები) უთხრეს: თქვენ ზოგიერთ უფლებებს მოკლებული ხართ. თუ ჩვენ ხარს დაგვიჭერთ ყოველნაირ უფლებებს მიიღებთო და სხვ.

ასეთი აგიტაციის საშუალებით ბოლშევიკებმა მიიმხრეს უკმაყოფილო ელემენტები და სოხუმიც ადვილად დაიპყრეს...

ახლა მე ვეკითხები ბ. ბ. ეროვნულ-დემოკრატებს: სოხუმის მოძრაობა ბ. ბ. ლაკობასა და ეშბას მეთაურობით ეროვნული იყო, თუ ბოლშევიკური?!

იქ გარკვეულად ეუბნებოდენ აფხაზებს სოხუმი თქვენიაო, მოძრაობას მეთაურობდენ აფხაზები—ლაკობა და ეშბა, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა სოხუმის მოძრაობა არ იყო ეროვნული მოძრაობა, მიმართული ქართველების წინააღმდეგ. ნაციონალისტური და თურქოფილური ელემენტები ცდილობდენ ესარგებლათ ამ მოძრაობით, ეს იყო ცდა, მაგრამ, როგორც ამ დღეებში იქ მომხდარი გადატრიალება ამტკიცებს—საშინლად დამარცხდენ!..

ოსები მთავრობას ებრძვიან, ოსები ქართველების დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი არიანო—აი ეროვნული დემოკრატების მთავარი ბრალდებანი, მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ ასეთივე შინაარსის იყო მოძრაობა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებშიც!

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ხომ ცხადია ყველასათვის, რომ ეროვნული მოძრაობა სადმე რომ გაჩაღდეს—საჭიროა ღრმა სოციალ-პოლიტიკური და ისტორიული მიზეზები, საჭიროა ხანგრძლივი აგიტაცია-პროპაგანდა და სისტემატიური ორგანიზაციული მუშაობა. ეროვნულ-დემოკრატებს არც ამ მხრივ დაუსაბუთებიათ თავიანთი ბრალდება!

მაშ, როგორია ოსებში მოძრაობის შინაარსი, რას წარმოადგენს ეს მოძრაობა?!

ოსების მოძრაობა არის სოციალური მოძრაობა, გამოწვეული ღრმა ეკონომიურ-პოლიტიკური მიზეზებით. ძლიერის და ხალხის ნდობით აღჭურვილი ადმინისტრაციის უქონლობა ადგილობრივ, მიწის საკითხის გადაუჭრელობა, სასურსათო კრიზისი, რომელიც ვერ მოსპო რევოლიუციამ და ეროვნულ უმცირესობათა ეროვნულ ცხოვრების მოუწესრიგებლობა—აი ის ზოგადი მიზეზები, რომლებითაც ისარგებლეს ბოლშევიკებმა. ეს ის მიზეზებია, რომლებიც ჩვენში ყველგან ასაზრდოებენ ანარქიასა და ექსცესებს. ვიმეორებ: ოსების მოძრაობას არავითარი სპეციფიური თვისებები და ნიშნები არ ემჩნევა. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის რეზოლიუცია, რომელიც ოსების უკანასკნელ ყრილობას მიუღია.

რეზოლიუციაში, რომელიც თითქმის ერთხმათ არის მიღებული, ნათქვამია, რომ ოსები რჩებიან საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. ისინი მოითხოვენ მხოლოდ ფართო თვითმართველობას და კულტურულ ავტონომიას, რომლის უფლება აქვს ყველა ეროვნულ უმცირესობათ. ჩვენი მთავრობის შესახებ ისინი ამბობენ: თუ ქართველი გლეხობა ენდობა მთავრობას, ჩვენ რატომ არ უნდა ვენდოთო. დამახასიათებელი სიტყვებია! თუ ქართველი გლეხობა ენდობა მთავრობას, ჩვენც ვენდობითო—ეს ისეთი წრფელი აღსარებაა, რომლის შემდეგ ბრმაც უნდა მიხვდეს, თუ როგორი მოძრაობა იყო ოსებში!

ისინი სრულ ნდობას უცხადებენ ქართველ გლეხობას და თავიანთი მარტივი ფორმულით სავსებით ამჟღავნებენ იმ დემაგოგიასა და პროვოკაციას, რომელსაც ოსებში ადგილი ჰქონდა.

როგორც მოგახსენეთ, ოსებს უთხრეს: საქართველოს მთავრობა ფეოდალების მთავრობააო, მას ქართველი გლეხკაცობა ებრძვისო. ოსი გლეხები იმ იმედით გამოვიდენ მთავრობის წინააღმდეგ, რომ მათთან იქნებოდა მთელი ქართველი მშრომელი გლეხობა.

თუ თავადები დაგვიბრუნდენ, სიკვდილი გვირჩევნიაო, ამბობდენ ყრილობაზე ოსი გლეხები.

ასეთი ძახილი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ოსი გლეხები რევოლიუციონერები არიან და არა ნაციონალისტები.

ჩვენ გვინდა მეზობლებთან ვიცხოვროთ ძმურათ და ტკბილათო—ასეთია ოსების სულისკვეთება და მტკიცე გადაწყვეტილება.

ოსობამ გაამართლა ჩვენი დემოკრატიის იმედები და ცილის მწამებელნი სამარცხვინოთ ჩააჩუმა!

ჩვენი დემოკრატია და მისი მთავრობა ვალდებულია ძმური ხელი გაუწოდოს ოსებს.

არა რეპრესიებით და ცილის-წამებით, არამედ უაღრესი ყურადღებით, მხურვალე თანაგრძნობით და ყველა ჭეშმარიტ დემოკრატიულ და რევოლიუციონურ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებით განმტკიცდება ძმობა ჩვენსა და ოსებს შორის.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ასეთივე იქნება ჩვენი პოლიტიკა აგრეთვე სხვა ეროვნულ უმცირესობათა მიმართ. ამით დავამტკიცებთ, რომ ჩვენს პატარა ქვეყანაშიც შესაძლოა ლაღათ ფრიალებდეს ინტერნაციონალის დიადი დროშა.

ლეო შენგელაია.

## ქების ფურცელი.

(პრესის მაგიერი)

როგორც მკითხველმა იცის სოც.-დემოკრატიას თავის მოვალეობათ მიაჩნია ჩვენი ბურჟუაზიის აყვავება და გაძლიერება. თავის ბატონობას იმით ასაბუთებს, რომ თვით ბურჟუაზია სუსტია და არ შეუძლია სახელმწიფოს გაძღოლა. და გულკეთილი სოციალ-დემოკრატია ეწევა იმ მძიმე შრომას ბურჟუაზიული წესების განმტკიცებისათვის, რომელიც თვით ბურჟუაზიას უნდა შეესრულებია. ბურჟუაზია სუსტია, ნორჩია; მას მოვლა ეჭირვება და პატრონი არა ჰყავს. ასეთ პირობებში შეიძლება დაიღუპოს კიდეც ეს სანატრელი ნორჩი არსება, თუ მას სოც.-დემოკრატიამ არ უძიძავა და უგამდლა.

ამისთვის, რათქმა უნდა, მადლობის ღირსია ბურჟუაზიისაგან, და როდესაც ეს მშვენიერი ყრმა გაიზრდება, დავაჟკაცდება, ის არ დაივიწყებს თავის მოახლეს და შესაფერისათ დაასაჩუქრებს: მუშა ხალხს გამოხარშავს კაპიტალისტურ ქვაბში და გააბედნიერებს. ეს მომავალში. ახლა კი ის მადლობას უძღვნის ჩვენს სოც.-დემოკრატიას ეროვნულ დემოკრატი ტ. მარგველაშვილის პირით საშვილიშვილო მოღვაწეობისათვის. ის ,,Kaukazische Post“ის № 45-ში ითვალისწინებს სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობას და პოლიტიკას და ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატიას დიდი ღვაწლი მიუძღვის არამც თუ მარტო ქართველი ერის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ხალხთა წინაშეც. ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ითვისებს სახელმწიფოებრივ (იგულისხმე ბურჟუაზიულ) თვალსაზრისს, და სამისო ზომებს იღებს, უტყუარი საბუთია იმისა, რომ სახელმწიფოს საკეთილდღეოთ თავის დროზე გაკეთდება ყველაფერი, რის გაკეთებაც შესაძლებელია. როგორც გამოთქმული აზრებიდან სჩანს, ეროვნულ დემოკრატები დიდათ კმაყოფილნი არიან სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკით. ეს ასეც უნდა იყოს. და თუ მიუხედავათ ამისა სოციალ-დემოკრატია მაინც იტუქსვის მათგან, სოციალისტური ფრაზეოლოგიისათვის, სამაგიეროთ ქებასაც ეღირსება ხოლმე ხანდისხან.

სოც.-დემოკრატიას ახასიათებს სოციალისტური ფრაზეოლოგია და ბურჟუაზიული შემოქმედება. პირველისათვის იტუქსვის ეროვნულ დემოკრატებისგან და მეორისათვის იქების.

ფარი.

## ნ ა კ ვ თ ე ბ ი

### წლის თავი.

დღესაც ისევე [illegible] ერთი წლის წინად... ადამიანს ეგონებოდა—ცოდვილი დედამიწაც შეჩერდა, ერთ წერტილზე გაიყინა, შესწყვიტა მზის გარშემო ტრიალი, რომ დამტკბარიყო, მოხიბლულიყო ჩვენი გაუმჟღავნებელი, ფარული, იდუმალი ლტოლვით ურთ-ერთისადმი...

ოჰ! რა აღტაცებით, რა აღფრთოვანებით მივისწრაფოდი დღეს იმ ადგილისკენ, სადაც პირველად მიმიხვდა ის ფარულ გრძნობათ!..

პირველად გაიგო ჩემი „დუმილი“!

დღეს წელიწადი შესრულდა: ხამას სამოცდა ხუთმა დღე-ღამემ განვლო მას შემდეგ, რაც პირველად მოსწყვიტა ფოთოლ-ფესვიანი ნაზი, მორცხვი ია და შემომთავაზა...

ეს პირველი იყო ჩემთვის ამგვარი ნობათი!

ეს პირველი იყო და, ვფიცავ ჩემს სიცოცხლეზე უძვირფასეს, გამოფიტული გულის უმწიკვლო გრძნობათ, კვლავ ალარავისგან არ მივიღებ არავითარ სამიჯნურო ძღვენს და საჩუქარს...

ბროწეულისებულ ბაგეთა ღიმილში გამოკრთოდენ თეთრი მარგალიტის მსგავსი მძივნი!

ხოლო თვალები... განთიადის ცისკარივით მოციალ-მოკამკამე ლაჟვარდი თვალები დასჩერებოდნენ სამძვინოთ მოწყვეტილ იას...

პირველ ვერ მიუხვდი, თუ რას ნიშნავდა ეს არაჩვეულებრივი, უცხო ნობათი...

პაწია მწერმა გაიტაცა ჩემი ყურადღება, რომელიც ყვავილიდან-ყვავილზე გადაფრინდებოდა და სწუწნიდა მთელ სიტკბოს... პაწია ისრით შხამავდა ყვავილის არსება-სიცოცხლეს უკანასკნელ ნექტარს სწუწნიდა მკერდიდან და მისი სიცოცხლე-სიტკბოებით სხვა უნდა დაეტკბო...

დავჩერებოდი და ვფიქრობდი: ,,რა შესცოდა ამ უმწეო ყვავილმა, რომ ასე უმწეოდ უსპობენ სიცოცხლეს?!. მასაც ხომ აქვს გრძნობა... ჩააჭდო თუ არა მწერმა თვის დაუნდობელი ნესტარი, იმ წუთას თავი დახარა ყვავილმა, თითქო არყოფნის ფერიამ ჩამოუქროლა და სიკვდილის ცელი შემოჰკრაო... ერთის სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის რად არის საჭირო მეორის სიკვდილი და უბედურება?!''

ასეთ ფიქრებში ვიყავ გართული, რომ მომმართა!

— გამომართვი!..

და გამომიწოდა ფესვ-ფოთოლიანი ია... უცებ გამოვერკვიე...

ფოთოლ-ფესვი მე დავიტოვე... ყვავილებიდან პაწია მინიატიურული თაიგული შევკონე და თვითონვე შევთავაზე—მკერდზე დავუბნიე...

ამ დროს შეხვდენ ერთმანეთს ჩვენი თვალები და რას გამოხატავდნენ ისინი იმჟამად—ვერ გადმოგცემთ, არ ძალმიძს...

„ზღვის კონცხი“.

ვიჯექ ,,ზღვის კონცხზე'' და გავცქეროდი მის ანდამატივით მოციგლიგე ზედაპირს...

და არ ვიცოდი, რა ხდებოდა მის გულის სიღრმეში...

ზამთარი მილეული იყო!..

ხოლო არც გაზაფხული აბრძანებულიყო ჯერ სამეფო ტახტზე; ოდნავი, შეუმჩნეველი სიო დასრიალებდა ლურჯად მოციალე ზღვაზე...

ხელის გულივით მოსჩანდა ზღვის ფსკერი და უამრავ ფერადოვან კენჭებს ისე მოექარგათ მისი გულის ფიცარი-მკერდი, თითქო კაშკაშა ღამეში ცის კამარა მოუჭაზმავთ ვარსკვლავ-მთვარესო...

ვიჯექ ,,კონცხზე'' და გავცქეროდი შორს, შორს...

თვალით, გრძნობით, მთელი არსებით ვეძიებდი ბედის ვარსკვლავსა.

ზღვა სდუმდა—არას მიპასუხებდა და

მისი თვალუწვდენი, კამკამა მიდამოს მდუმარება ჩემი ვარსკვლავის ოცნებით სავსე თვალებს მოშაგონებდა: ისინიც, ვით ზღვა, თვისი სიჩუმით და დუმილით ერთ და იმავე დროს ზვავრსაც ამბობენ და არც რაიმე ამბობენ: საიდუმლოებითაა მოცული მათი ბუნება!

მისი თვალებიც ისევე ნთქავენ, სიცოცხლეს უკარგავენ ჩემ გამოხედვას, შინაარს სტაცებენ მას, ვით ზღვის უფსკრულში ინთქებიან სიცოცხლის მფენ მზის სხივთა ხომლნი...

ასე ყოფილა მსოფლიოს დასაბამიდან და ასე იქნება დასასრულამდე: ცისკრის რიჟრაჟი ყოველ დილას ამბორს უგზავნის თვის სატრფოს მხოლოდ იმიტომ, რომ გულში ჩაიკრას ზღვამ, ჩაიყურყუმალოს და კვლავ მოსთხოვოს ტრფობა-ალერსი...

იწვიან სხივნი, სიცხოველე თანდათან აკლდებათ...

ზღვა კი კვლავ განაგრძობს თითოეული ამბორის მოტაცებას და მზე, მიუხედავად სიკვდილის პირად მიქცევისა, მაინც ბედნიერად სთვლის თავის თავს...

ოცნებით თავბრუ დასხმულმა, გვიან შევამჩნიე:

უცებ ამობოქრდა ზღვა..: პირიდან დორბლსა ჰყრიდა.. ზვირთნი ერთი-მეორეს ეხეთქებოდნენ...

სიკვდილის სუდარასავით გადაეკრა ზღვას შავი ღრუბელი... იერიში—იერიშზე მიჰქონდათ ღრუბელთა და ტალღათ და გამოუცნობელი იყო, რომელი დარჩებოდა გამარჯვებული...

ერთხელ ხელიც კი სტაცეს ურთიერთს ქოჩორში და, გრიგალის სრბოლასთან ერთად, დიდ მანძილზე სტყორცნიდენ ერთი-მეორეს...

უცებ ყველაფერი მიყუჩდა!

ზღვას უკვე სიამისა და სიხარულის ღიმი უკრთოდა პირზე, რადგან ერთი ამბორი კიდევ გამოსტაცა გაჯიუტებულ მზეს...

და მეც ვიხილე, ყარყარა ყელით მონავარდე—გედის სახით, ჩემი ვარსკვლავი!

და ვიშვებდი შორით!

ვსტკბებოდი მისი მზერით!

და ზღვის ტალღანიც თავიანთ „კონცერტზე" ჰიმნს გვიგალობდნენ ჩვენ—ორივეს!

„იპოვნე? იპოვნე?"...

საპატარძლოთ მოკაზმულ ჰალაკს გადასცქერია ჩემი სენაკის სარკმელი.

იქვე გვერდით სულ პაწია, ალმასისებრ მოელვარე წმინდა და ანკარა წყარო ამოჩუხჩუხებს: რომლის „ენა-ტიკტიკს" მკერდში ჩახუტებული შროშანია—ნარგიზი ელამუნებიან ხოლმე გაზაფხულზე...

მწარე ფიქრებით გარემოცული, ხშირი სტუმარი ვარ ამ ბუნების მიერ შექმნილი მხიბლავი მხატვრობის... სულით მაშვრალი განცხრომას ვეძლევი...

ოცნება ამ ხელთუქმნელ სურათის გულმკერდზე—აი რა მასულდგმულებს, რა მაცოცხლებს...

მხოლოდ აქ, ამ მყუდროების სამეფოში ვგრძნობ სულის სიმშვიდეს, მხოლოდ აქ არ მიმატებენ წყლულზე-წყლულს ვერაგ-მლიქვნელნი, სამსალას არ მაწვეთებენ დაობლებულ სულში...

ეს ღამე კი წარუშლელი დარჩება ჩემს ხსოვნაში!

ვერ მივმხდარვიყავ, რას ითხოვდა ჩემი დაუდეგარი სული...

ვცადე წიგნის კითხვა... პირველი მოხვედრილი წიგნის პირდაპირი გადაშლილი ფურცლიდან დავიწყე კითხვა... შემთხვევით ისეთ ადგილს წავაწყდი, რაც მთელ ჩემს სიცოცხლეში სულსა და გულს მიღრღნის, ჩემი ცხოვრების ყოფნა-არყოფნის საკითხს შეადგენს და პასუხს კი ვერსად ვეძიებ...

შავით თეთრზე ეწერა: „არსებობს თუ არა ბედნიერება და რაში გამოიხატება იგი? მიაღწევს თუ არა მას ადამიანი და თუ მიაღწევს, შეიძლება კიდევ ჩაითვალოს იგი ბედნიერებათ?"

რად შევჩერდი, მეც არ ვიცი... ვეცადე კი განმეგრძო კითხვა ან დამევიწყებინა წაკითხული, მაგრამ ვერც ერთი შევძელ და ვერც მეორე...

სადაც არ უნდა გადამეფურცლა, თითოეულ გვერდზე, თითოეულ სტრიქონში, თითოეულ სიტყვასა და ანბანში, ყველგან ხაზგასმული სტრიქონები მელანდებოდნენ...

არც ძილი მეკარებოდა...

მეტი აღარა დამრჩენოდა-რა... მივმართე ჩემს სავანეს... მით უმეტეს, რომ ჩემსავით მეოცნებეთა ხელმწიფემ ამოჰყო თავი მთის წვერიდან და ვერცხლის ალმაცერა სვეტნი მოაფრქვია არე-მარეს...

ბულბულის ალერსით მოჯადოებულმა ვარდმა სული განაბა და მკერდი გადიხსნა მის ხამბოროდ...

ოქროს-ფერ ნისკარტა შაშვმა შორით იგრძნო ეს და შეშურდა, იწყინა მათი ქურდული, საიდუმლო მიჯნურობის ახსნა და გულიანად გადიხარხარა...

მეორე მხრიდან ქედანმა მისცა ბანი და მორთო სევდის აღმძვრელი ღუღუნი... სულთათანას მელოდია დაამღერა...

— იპოვნე? იპოვნე?..—მოისმა სადანღაც ოლოლის მკვნესარე ხმა...

— ვერა! ვერა!—იყო პასუხი მეორე მხრიდან...

აი რა არის ბედნიერება! აი სად არის ნეტარების განცდა!

იმ დღიდან, როდესაც ორი და-ძმანი „ნატვრის თვალის" დაკარგვისთვის ოჯახიდან გააძევა დედინაცვალმა და ტყის ალქაჯმა ფრთოსნად აქცია, ისინი ეძიებენ დანაკარგ თვალს და გაჰკივიან გულსაკლავად:

— იპოვნე, იპოვნე?..

— ვერა, ვერა!..

მათ ბანს აძლევს მთელი მსოფლიო!

ძიებაში ჰპოებენ ბედნიერებას, „ნატვრის თვალის" ნახვის იმედი ასულდგმულებს მათ და განაცდევინებს ნეტარების წამებს.

და ამაზე შორს ველარ წავა ბედნიერება!

თუ მიაღწია მას ადამიანმა, თუ იპოვნა „ნატვრის თვალი", ის აღარ იქნება ბედნიერება; მისი აჩრდილი-ღა დარჩება...

მე და ჩემი ვარსკვლავი კი თვით ცხოვრებამ, ხასტიკმა, შეუბრალებელმა და დაუნდობელმა—მახინჯთაგან გაუკუღმართებულმა დაგვაშორა ერთმანეთს...

და ურთ-ერთისადმი ლტოლვასა და ძიებაში ვპოვებთ ბედნიერებას!..

### მეგობრის წერილი.

დღეს წერილი მივიღე ერთი მეგობრისაგან...

მწერს: „...ჩემი დიდი ხნის ოცნება სინამდვილეთ იქცა; სულმა სხეული შეისხა... ჩემმა მტანჯველმა ხელი გამომიწოდა და გამაბედნიერა!! აი ამ ბარათის წერის დროს მხარზე დამყრდნობია და ჯადოსნური კილოთი ჩამჩურჩულებს: „ჩემს მაგიერ სალამი მიუძღვენ შენს მეგობარს"-ო...

„სიყვარულით დამთვრალი ქმარი და ახალგაზდა, ანგელოზებრივი ცოლი ერთ სულსა და ერთ ხორცს წარმოვადგენთ... გამოგიცდია როდისმე ასეთი ნეტარება?!

„რასაკვირველია, არა!

„ვიცი, ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯს მეწვრილმანეურსა და შაბლონიურს უწოდებ... შენი სული ვერ თავსდება „ამ ქვეყნიურ ჩარჩოში", როგორც შენ ამბობ ხოლმე... მას აბსოლიუტური თავისუფლება სწყურიან... თქვენისთანებს კი ჩვენ, „უბრალო მომაკვდავთ" შორის არა გაქვთ ადგილი...

„ამაში კი გარწმუნებ: როდესაც შენც მიაღწევ უკანასკნელ წერტილს, რომლის იქით აღარ არსებობს-რა, როდესაც ჩემსავით შენც გაგიტაცებს ვინმე და შენც შეგიყვარდება... როდესაც გამოგიწვდის ხელს და შენი ცხოვრების თანამგზავრობას იკისრებს, მხოლოდ მაშინ იგრძნობ ჩემს ნეტარებას"...

„მაშ შენც გისურვებ ჩემსავით გაბედნიერებას"...

ასე აბოლოვებს ეპისტოლეს ჩემი მეგობარი...

გაბედული ნათქვამი კია:

„შენც გისურვებ ჩემსავით გაბედნიერებას"...

არის კი რომელიმე მათგანი ბედნიერი?

ერთი მონა, ხოლო მეორე ბატონი და ბედნიერად კი გრძნობენ თავს!..

არა მრწამს თანამედროვე ქორწინების მიერ მონიჭებული ბედნიერება!..

ჩემი ოცნება სულ სხვაა...

ბრძოლისადმი, მისწრაფებისაკენ უნდა მიწვევდეს ჩემი სიყვარულის საგანი!

აი ჩემი ნეტარება, აი ჩემი ბედნიერება! აი ჩემი ტრფიალი!..

ვ. მუმლაძე.

## ბაქოს ამბები.

სამშაბათს, 20 აგვისტოს, ჩამოვედით ბაქოდან ქართველები, 60 კაცამდე.

რადგან ქართველ საზოგადოებას ნაკლებად მოსდის ცნობები ბაქოს შესახებ, ვეცდები მკითხველს მოკლედ მაინც აუწერო ბაქოს მდგომარეობა.

მე მხოლოდ იმ ფაქტებს შევეხები, რომლების მოწმეც მე ვყოფი, ან სანდო პირებისაგან მაქვს გაგონილი.

### დღევანდელი მდგომარეობა.

ჩვენი წამოსვლის დროს, ე. ი. აგვისტოს 13-ს (ახ. სტ.) ბაქოს მმართველობა ფლოტის და აღმასრულებელ კომიტეტის ხელში იყო. აღმასრულებელ კომიტეტში შედიოდნენ სამი პარტია: მენშევიკები, მემარჯვენე სოც.-რევოლიუციონერები და დაშნაკცაკანები.

ოსმალეთის ჯარმა ალყა შემოარტყა ქალაქს: მას დაკავებული ჰქონდა ბაქოს გარშემო სოფლები, რომლების ცენტრად ითვლება სოფ. მაშტაგი.

ბაქოში ამ სოფლებიდან აღარაფერს უშვებდნენ მოსატანად. ბაქოში დღეს სურსათი მხოლოდ ზღვით შემოაქვთ.

ბაქოს ჯარი გამაგრებულია ქალაქის გარშემო მთებზე.

ბიჩერახოვის რაზმი დიდი ხანია დერბენტისკენ წავიდა და იქიდან უკან ვეღარ ძვრის.

ბოლშევიკი პეტროვის რაზმი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნებით რუსეთში აპირებს წასვლას, რადგან ინგლისელებთან ერთად არ უნდათ იომონ.

ინგლისელები 1500 კაცამდე უკვე მოსული არიან იარაღით და ბრონევიკებით. 200 კაცამდე ინდოელი მხედარიც ჰყავთ.

ამ მდგომარეობაში დავტოვეთ ბაქო, როცა აგვისტოს 14-ს წამოვედით თბილისაკენ.

### მარტის ამბები.

მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოში სხვა პარტიათა შორის მონაწილეობას იღებდნენ დაშნაკცუტიუნი და მუსავატი, თუმცა ერთმანეთს არ უყურებდნენ სანდო თვალით.

მარტში ლენკორანში მოკლულ იქმნა თათრების დივიზიის ოფიცერი ბაქოს მცხოვრები თაღიევი.

მის დასაფლავებაზე ბაქოში დაესწრნენ მისი ამხანაგები 70 კაცამდე იარაღით. დასაფლავების შემდეგ 18 მარტს მათ უნდოდათ იარაღითვე ლენკორანში დაბრუნება. ბოლშევიკებმა ნება არ მისცეს იარაღის წაღებისა, ამ ნიადაგზე შეტაკება მოხდა და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

ამ საქმეში ჩაერია მუსავატი და მოითხოვა იარაღის დაბრუნება. აღმასრულებელ კომიტეტმა უარი უთხრა და ამ ნიადაგზე მოხდა შეტაკება.

დაშნაკცუტიუნი ბოლშევიკებს მიემხრო, ამ გვარად იომობდნენ ერთი მხრით ბოლშევიკები და დაშნაკცუტიუნი, მეორე მხრით მუსავატი.

მე ამ დროს ბინაგადში ვიყავი ნავთის მადნებზე.

სომხებისათვის 18-ს მარტს საღამოს შეუტყობინებიათ, და ღამე თითქმის ყველანი წამოსულიყვნენ.

ქართველები შევიკრიბეთ ბინაგადის წყალ-საყვანის ეზოში, პლ. ლანდიას სახლში და იქ გავატარეთ ერთ კვირამდე.

ბინაგადის მკვიდრი მცხოვრები მაჰმადიანები ერთ-ორ დღეს თვითონ იცავდნენ წეს-რიგს მაგრამ მათ შორის აღმოჩნდნენ ბნელი ძალები და მთელი ბინაგადი დაარბიეს.

ამავე დროს ბაქოდან გადმოუციათ ბინაგადში, ვითომც მდიდარი მაჰმადიანი სალიმოვი ურიებს გაუციათ და სომხებს მოუკლავთო. გაჯავრებულმა მაჰმადიანებმა 7 ურია მოკლეს ბინაგადში, ამათ შორის 2 ინჟენერი და 2 ტეხნიკი. შემდეგ აღმოჩნდა, რომ სალიმოვი არავის არ გაუცია და დღესაც ცოცხალია. ვინ გადმოსცა ბინაგადში მისი მოკვლის ამბავი, დღესაც გამოურკვეველია.

როცა ომი გათავდა და ბაქოში ჩამოვედით, ბაქოს ზოგი კუთხეები მაჰმადიანის ნაწილში ცეცხლით და ზარბაზნით ახრებული დაგვხვდა. დამწვარი დაგვხდა მაჰმადიანების საქველ-მოქმედო საზოგადოების სახლი, რომელიც მუსა—ნაღიევის ფულით აშენებული იყო და ერთ საუკეთესო შენობას წარმოადგენდა ბაქოში.

სომხებს დაუწვავს ტარაევის და შაილოვის სახლები.

სამი დღის განმავლობაში 3000 კაცამდე იქმნა მოკლული და დაჭრილი, უმეტესობა მათ შორის მაჰმადიანები იყვნენ, ბევრი მაჰმადიანი სახლებიდან გამოეყვანათ და მოეკლათ.

ამ ომის შემდეგ შესდგა ბოლშევიკების მთავრობა შაუმიანის მეთაურობით.

### ბოლშევიკების მთავრობა.

ბოლშევიკები დაუყონებლივ შეუდგნენ მათი პროგრამის შესრულებას.

მრეწველთ და ვაჭართ დაადვეს გადასახადი 50 მილიონი, გამოაცხადეს ნაციონალიზაცია ბანკების, ფლოტისა, ნავთის წარმოებისა, გააუქმეს სასამართლოები, დაკეტეს უფროსი ნოტარიუსის კანცელიარია, სახელმწიფო მოხელეები ბევრი დაითხოვეს და თავის კაცები ჩააყენეს, და სხვა და სხვა.

აფრთხილებდნენ ბოლშევიკურ მთავრობას, რომ ხალხი მოუმზადებელია და ამ გვარი რეფორმები ბაქოს დაღუპავსო, მარა ყურს არავინ უგდებდა.

ინჟინერთა კავშირმა პროტესტი განაცხადა ნავთის წარმოების ნაციონალიზაციის გამო, მაგრამ პროტესტი პროტესტათ დარჩა.

ყველგან საქმე აირ-დაირია, შეიქმნა უიარაღო ცარცვა—გლეჯა, ვისაც კი არ ეცხვენოდა, ხაზინას ცარცვავდნენ. თვითონ ბოლშევიკების მთავარ მოხელეებშიაც აღმოჩნდნენ იმისთანა პირები, რომლებმაც დიდ-ძალი ფული მოიპარეს.

მაგალითად ფინანსთა კომისარი კირეევი დახვრეტილ იქმნა იმისთვის, რომ 100 ათასი მანეთი მოეპარა და გაქცევას აპირებდა. ბევრმა მილიონებიც კი მოიპარა.

ბოლშევიკების მიერ შემდგარი წითელი ჯარი ძვირად დაუჯდა როგორც ხაზინას, ისე მცხოვრებლებს, რადგან სურსათი სულ მათ ეძლეოდათ და ხალხს კი პური ენატრებოდა. როცა კი ომის დრო მოვიდა და ოსმალეთის ჯარი ბაქოს მოაწვა, წითელი ჯარის მომეტებული ნაწილი უომრად ბაქოში გამოიქცა.

ამ მიზეზის გამო მუშა ხალხი დიდ უკმაყოფილებას აცხადებდა. ბოლოს ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ აღარ შეეძლოთ მმართველობა განეგრძოთ და გადადგნენ.

ამ დროს მუშები შეერთდნენ ქალაქის დასაცავად, იარაღი აიღეს, და ოსმალეთის ჯართან საომრად გამოვიდნენ. მათ შეუერთდნენ აგრეთვე ფრონტზე მყოფნი ჯარის-კაცები, რომელნიც აქამდე არ ღებულობდნენ მონაწილეობას.

ბაქოს მიდამო მთებზე რამდენიმეჯერ შეტაკება მოხდა. 5 აგვისტოს ოსმალები თითქმის ქალაქში შემოსული იყვნენ. მაინც ვერც ერთმა მხარემ სრულიად ვერ გაიმარჯვა, რადგან თითქმის ერთნაირი ძალა აღმოაჩნდათ ორივე მხარეს.

ამის შემდეგ მუშათა საბჭომ დაადგინა ინგლისელები მოეწვიათ სპარსეთიდან დასახმარებლათ.

### საყოველთაო მობილიზაცია.

როცა ოსმალეთის ჯარი ბაქოს მოუახლოვდა, აღმასრულებელ კომიტეტმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა წლოვანობის მიუხედავად. მამა-კაცებს ქუჩებზე იჭერდნენ და მიჰყავდათ.

შემდეგ გამოაცხადეს, რომ ჯარში იწვევენ 20 წლიდან 42 წლამდე.

მობილიზაციის შესახებ ხალხი კი იმ აზრის იყო, რომ ამგვარად შედგენილი ჯარი ბაქოს ვერ უშველიდა.

### თავისუფალი ერების გაწვევა.

განცხადების ძალით მობილიზაცია ეხებოდა აგრეთვე იმ ერთ, რომლებიც ომის დროს გამოეყვნენ რუსეთს, მაშასადამე ქართველებსაც.

ერთი ჩემი მეგობარი ინჟენერი, ტომით უკრაინელი, აღმასრულებელ კომიტეტში მივიდა, უკრაინის პასპორტი წარუდგინა და სთხოვა ბაქოდან წასვლის ნებართვა. მას უპასუხეს, რომ უკრაინას ცალკე სახელმწიფოთ არ სცნობენ და ამის გამო მას მობილიზაციიდან ვერ გაანთავისუფლებენ.

### ქართველების რაზმი.

მოქ. არდიშვილმა ქალაქში წესიერების დასაცავად მოინდომა ქართველთ რაზმის შედგენა. ქართულ ეროვნულ საბჭოს დაუკითხავად შეუდგა ის მილიციის დახმარებით ქართველების შეკრებას. ამ რაზმში არა ქართველიც ბევრი ჩაეწერა. შემდეგ სამხედრო მთავრობამ ეს რაზმი ფრონტზე გაგზავნა.

ქართულ ეროვნულ საბჭომ არდიშვილს ამგვარ საქციელის შესახებ პროტესტი გამოუცხადა.

### ბაქოელების აზრი მტრის შესახებ.

თუმცა ნ. ჟორდანიამ დიდი ხანია დეპეშით აცნობა ბაქოს, რომ არც ერთი თბილისის რევოლიუციონურ ორგანიზაციას არა აქვს მიზნათ ბაქოზე გამოლაშქრებაო, მაგრამ ადგილობრივ გაზეთების წყალობით მუშები და ჯარის-კაცები მაინც დარწმუნებული იყვნენ, რომ თბილისს უნდა ბაქოს აღებაო.

ბევრი იწერებოდა კერძოდ ქართველებზე გაზ. „ბაკინსკი რაბოჩი"-ი თითქმის ყოველ ნომერში იმეორებდა რომ ქართველების და მაჰმადიანების შეთანხმებით გამოეხსნათ ჯარი ბაქოს დასაცემად და რევოლიუციის მოსასპობად, ცუდათ იხსენიებდნენ ჩხეიძეს, გეგეჭკორს და წერეთელს, იქამდი მივიდნენ, რომ წერეთელზე და სწერეს: „აი თავადიშვილობა ბოლოს მაიც აღმოაჩნდაო".

ამავე დროს ხალხში ავრცელებდნენ ხმას, რომ სომხები და რუსები საქართველოში გლახა მდგომარეობაში არიან ჩავარდნილიო.

ამისთანა აგიტაციის შედეგი ის იყო, რომ ქართველებს ეჭვის თვალით დაუწყეს ცქერა, და მოღალატეებათ სთვლიდნენ რუსეთის რევოლიუციის წინაშე.

ბოლო დღეებში გამოირკვა, რომ ბაქოს მოპირდაპირე ოსმალეთის რეგულიარული ჯარი ყოფილა, გაზეთებმა ცოტა კილო გამოიცვალეს და ქართველებზე აღარაფერს სწერდნენ.

მაინც ბაქოელების მიზანია მტერი უკუ აგდონ და შემდეგ თბილისზე გამოილაშქრონ.

როცა ინგლისელები შემოვიდნენ ბაქოში და სასტუმრო „მეტროპოლში" დაბინავდნენ, „მეტროპოლის" კარებზე ასეთი განცხადება იყო აკრული:

„მოქალაქენო, კმარა სეირი, წადით, იმუშავეთ ფრონტისათვის. ჩვენი დღესასწაული მაშინ იქნება, როცა თბილისში ჩავალთო".

### პურის საკითხი.

ჯერ ზამთარშივე გამოირკვა, რომ ბაქო უპუროდ დარჩებოდა. პეტროვსკის მხრით ჩრდილო-კავკასიიდან აღარ უშვებდნენ პურს. როცა ნავიგაცია გაიხსნა ასტრახანიდან მოელოდნენ პურს, მაგრამ მხოლოდ ეგრედ წოდებულმა „მეტომრეებმა" ისარგებლეს, ზიდავდნენ და 200—250 მანეთად ჰყიდნენ ფუთ პურს. რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა კი ვერაფერი მოახერხეს.

ბოლშევიკების მთავრობა რომ დამყარდა, მათ ყველა ბრალი წინანდელ მთავრობას დასდვეს და დაგვპირდნენ მალე ბევრი პური მოვა მუღანიდან და ლენქორანიდანო. პური კი ფუთი 300—350 მ. ღირდა.

ბოლშევიკები გადადგნენ. ეხლანდელმა მთავრობამ აცნობა ხალხს, რა უხეირხულად მოეკიდათ ხელი ბოლშევიკებს პურის საქმისთვის და გამოაცხადეს, რომ ყოველივე ზომებს მიიღებენ, რათა ხალხს პური მიაწოდონ, მაგრამ პურის ფასმა უფრო აიწია.

### როგორ წამოვედით ჩვენ ბაქოდან.

ბევრი ქართველების ოჯახობა საზაფხულოდ ბაქოს ახლო სოფლებში არიან წასული. როცა ოსმალებმა ეს სოფლები დაიკავეს და ბაქოში აქედან აღარავის უშვებდნენ, ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოში წამოსვლა. ოსმალეთის შტაბის ნებართვით 60 კაცამდე ქართველი, ცოლ-შვილით, ზოგი ურმით, ზოგი ფეხით გამოვემგზავრეთ სადგურ პუტასკენ, სადაც ორი დღის შემდეგ მოველით. აქედან მატარებლით ვიარეთ თბილისამდე 3 დღე.

### რა მდგომარეობაში დარჩნენ ქართველები ბაქოში.

სამნაირი განსაცდელი მოელის მათ:

1) სომხის და რუსის მდაბიო ხალხი გაზეთების წყალობით არა მეგობრული თვალით უყურებს მათ და ამ ნიადაგზე შესაძლებელია ექსცესები;

2) თუ ქალაქში სომხებთ და მაჰმადიანთა შორის ნაციონალური შეტაკება მოხდა ოსმალეთის ჯარის შესვლის დროს, შეიძლება ბევრი ქართველიც შემთხვევის მსხვერპლი გახდეს.

3) რადგან სურსათის საქმე თანდათან მწვავდება, ბაქოს ქართველებს აგრეთვე შიმშილი მოელის, როგორც სხვა მცხოვრებლებს;

4) უკანონოთ ჯარში გაწვეულმა ქართველებმა სხვის სამშობლოსთვის სისხლი უნდა დაღვარონ.

ინჟ: ს. მ—ლი.

P. S. ვისაც სურს ბაქოში დარჩენილ ქართველების შესახებ ამბავი მკითხოს, შეუძლიათ მომმართონ ამ ადრესით: ავლაბარი, აფთიაქი, ტელეფ. 5—02.

ს. მ.

„ს. რ."

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.